ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N11

ქ.თბილისი 26 იანვარი, 2018 წელი

13^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
რამინა ბერაძე	გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე	თემურ გორგაძე
ლევან დავითაშვილი	ოთარ გრიგოლია
მარინა დათუკიშვილი	ბექა დავითულიანი
გიორგი დოხტურიშვილი	ლევან დარახველიძე
ირაკლი ზარქუა	თევდორე ისაკაძე
ერეკლე კუხიანიძე	ანა ლაშხი
ნინო ლაცაბიძე	თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი	დათო ჟღენტი
ირაკლი ნადირაძე	რევაზ სოხაძე
შალვა ოგბაიძე	დავით უთმელიძე
ლევან ჟორჟოლიანი	თარაშ შურღაია
დათო რურუა	ავთანდილ ცინცაძე
თამარ ტალიაშვილი	დავით ჭელიძე
გიორგი ჩაკვეტაძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ვლადიმერ ძნელაძე	ილია ჯიშკარიანი
ლევან ხაბეიშვილი	ქეთევან ჯოხაძე
ლევან ჯაფარიძე	ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი სოფიო ხუნწარია;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა მუმლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან თემურ გორგაძეს მიულოცა ვაჟის დაბადება, საუკეთესო სურვილებით. მილოცვას შეუერთდნენ საკრებულოს წევრები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ირაკლი ნადირაძემ თბილისის მთავრობის ინიციატივას, რომელიც ეხება ტაქსების რეგულირებას, უწოდა „გაუაზრებელი და დაუსაბუთებელი", რადგან 2018 წლის ბიუჯეტის პირველადი პროექტისგან განსხვავებით, დამტკიცებულ ბიუჯეტში ამოღებულია ამ მიმართულებით ჩასატარებელი კვლევა. იმ კომპანიებთან, რომლებიც ოპერირებენ ამ სფეროში და ტაქსების მძღოლებთან კონსულტაციის გარეშე, წარმოდგენილია ზეპირი განცხადებები, თითქოს მხოლოდ რეგისტრაცია იყოს საჭირო და გაურკვეველია როგორც რეგისტრაციის საფასური, ასევე შემდგომი ეტაპები. ირაკლი ნადირაძის თქმით, მაშინ, როდესაც ჩამოშლილია ეკონომიკა, გაუფასურებულია ლარი, ფასები გაზრდილია პროდუქტებზე, მედიკამენტებზე და კომუნალურ გადასახადებზე, ტაქსებზე რეგულაციის შემოღება არის მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ - „ტაქსისტების ჯიბეში ჩაყოთ ხელი და შემდგომ წლებში მაინც შემოიღოთ კონკრეტული ლიცენზიები და ადამიანებს, რომლებსაც ელემენტარული ლუკმა-პურისთვის დღე და ღამე უმძიმეს პირობებში უწევთ მუშაობა, ჩაუჯდეთ წილში". განაცხადა, რომ კარგია „ევროპული ტაქსებით" სიარული, თუმცა, სანამ ხალხს ამას მოვთხოვთ, იქნებ მივცეთ „ევროპული პენსიები, ევროპული შემოსავლები, ევროპული ხელფასები და ევროპული ინფრასტრუქტურა მოვუწყოთ". ირაკლი ნადირაძემ „ქართული ოცნების" წარმომადგენლებისგან მოითხოვა განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა იქნება რეგისტრაციის პირველადი გადასახადი, რა იგეგმება შემდგომ ეტაპებზე, მოუწევთ თუ არა ტაქსის მძღოლებს რაიმე დამატებითი გადასახადის გადახდა ან ხომ არ დარჩებიან უმუშევრები და ასევე, მოითხოვა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე იმ კანონპროექტის წარმოდგენა, რომლის შეტანაც იგეგმება პარლამენტში.

ლევან ხაბეიშვილმა ისაუბრა საბავშვო ბაღებში კვებასთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ თბილისის მერიამ, ტენდერში მონაწილე სამივე კომპანიას მისცა დისკვალიფიკაცია, თუმცა ერთ-ერთ მათგანს, შპს „ნილს" გაუფორმა ხელშეკრულება და განაცხადა, რომ „სრული ნონსენსია" ხელშეკრულება გაუფორმო კომპანიას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილ კრიტერიუმებს. მისი თქმით, აღნიშნული კომპანია, სოციალურად დაუცველებისთვის უხარისხო საკვების მიწოდების გამო, არაერთხელ არის დაჯარიმებული, რაც დადასტურებულია დოკუმენტურადაც და ამის შედეგად მივიღეთ ის, რომ საბავშვო ბაღებში რძე მიიტანეს ღვინის შეფუთვით, არ ვარგოდა ყველი, რაციონიდან ფაქტობრივად ამოღებულია მარილი და შაქარი და ზოგადად, ბაღებში კვებასთან დაკავშირებით არის ძალიან სერიოზული პრობლემა. განაცხადა, რომ უმრავლესობას უნდა ჰქონდეს გეგმა და სტრატეგია, თუ როგორ უნდა მიეწოდოს სამოცი ათას ბავშვს ნორმალური საკვები და დაინტერესდა, რა იგეგმება ამ მიმართულებით. ლევან ხაბეიშვილის თქმით, მისთვის გასაგებია, რომ შენობის ავარიულობის გამო ფუნქციონირება შეწყვიტა სამმა ბაღმა, თუმცა ასეთი დაუგეგმავი გადაწვეტილების მიღება არ არის სწორი და მართებული, რადგან გაუგებარია, რა ელოდებათ იმ ბავშვებს, რომლებიც დადიოდნენ ამ ბაღებში, რა დრო დაჭირდება ბაღების რეაბილიტაციას, გადანაწილდნენ თუ არა ბავშვები სხვა ბაღებში ან როგორ მოხდება მათი გადანაწილება მაშინ, როდესაც ყველა ბაღში განსაზღვრული და შეზღუდულია ბავშვების რაოდენობა.

დათო ჟღენტმა განაცხადა, რომ ქალაქში ლამაზი ტაქსების არსებობა ყველას უნდა, თუმცა ეს ყველაფერი უნდა დაიწყოს ტრანსპორტის რეფორმის მოგვარებით, კერძოდ, შემოყვანილი იქნას ახალი ავტობუსები, მოგვარდეს პარკირების და საგზაო ინფრასტრუქტურის პრობლემა. მისი თქმით, ქალაქში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობიდან და უმუშევრობიდან გამომდინარე, ტაქსის მძღოლობით ოჯახებს არჩენენ ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ სხვა

შემოსავალი და როდესაც საუბარია ტაქსების რეგისტრაციაზე, მნიშვნელოვანია ამ ადამიანების მოთხოვნების გათვალისწინება. დათო ჟღენტმა ასევე ისაუბრა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებზე და აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ მათთვის რეაბილიტაციის კურსის დაწყების თითოეული დღე მნიშვნელოვანია, სასურველია მომლოდინე რეჟიმში აღარ იყოს არც ერთი ბავშვი და მოუწოდა საკრებულოს წევრებს, ამ მიმართულებით იყვნენ ერთსულოვნები, რათა, რაც შეიძლება მოკლე დროში მოგვარდეს აღნიშნული საკითხი.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, „ქართული ოცნების" ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო სატრანსპორტო სფეროს მოწესრიგება, რაც ტაქსებზე დაანონსებულ სიახლესთან ერთად, კომპლექსურად მოიცავს საცობების პრობლემის, გზების გამტარუნარიანობის და ტრანზიტად მოძრავი დიდგაბარიტიანი ავტომატარებლების მოძრაობის საკითხების მოგვარებას, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამტანი ტექნიკისთვის მუშაობის გრაფიკის დადგენას, სადისტრიბუციო ავტომობილისთვის გარკვეული რეჟიმის შეთავაზებას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემადგენლობის გადახალისებას, მეტროპოლიტენის მოძრავი შემადგენლობის რეაბილიტაციას და მრავალი სხვა. შალვა ოგბაიძის თქმით, სამწუხაროა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებმა ამ მიმართულებით განსახორციელებელი გეგმებიდან ისაუბრეს მხოლოდ ტაქსებზე შემოთავაზებულ სიახლეზე და როგორც აღნიშნული დარგის სპეციალისტმა, განაცხადა, რომ მიზნის მისაღწევად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უნდა განხორციელდეს ერთმანეთის პარალელურად.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ თბილისის მერის მხრიდან, დაანანოსებული იყო მთლიანად სატრანსპორტო საკითხების მოწესრიგება და მათ შორის, საუბარი იყო ტაქსების აღრიცხვიანობაზეც, რაც, მისი თქმით, „ნორმალურია", რადგან მგზავრმა, საკუთარი უსაფრთხოების მიზნით, ის მაინც იცოდეს, რომ ტაქსის მძღოლს აქვს მართვის მოწმობა და დაცულია მინიმალური წესები. საუბარია ასევე, რომ მიკროავტობუსები ცენტრალურ ქუჩებზე გაჩერდნენ მხოლოდ გაჩერებებზე, დატვირთულ საათებში საამშენებლო ტვირთების მოძრაობის გრაფიკზე და ქალაქის საცობებისგან განტვირთვაზე. ბექა დავითულიანმა ისაუბრა ბაღებთან დაკავშირებულ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ კვების მენიუ შედგა გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად, რის მიხედვითაც მოხდა საკვების კორექცია, ხოლო რაც შეეხება კონკრეტულ კომპანიას, ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მხოლოდ ერთი თვით, ნებისმიერ დარღვევაზე იქნება შესაბამისი რეაგირება და ამ ეტაპზე გამოცხადებული ახალი ტენდერით, გამოსწორდება დღეს არსებული ხარვეზები.

დავით უთმელიძემ განაცხადა, რომ ტაქსების რეგულაციაზე მუშაობა დაიწყო დაახლოებით 1.5 წლის წინ და სწორედ იმიტომ, რომ არსებობდა გარკვეული მონახაზი, გაიწერა წინასაარჩევნო პროგრამაში. ტაქსების სისტემა აუცილებლად უნდა მოექცეს რეგულირების სფეროში, რადგან ეს არის სოციალური საკითხი და სახელმწიფომ უნდა აიღოს გარკვეული ვალდებულება, თუნდაც იმ კუთხით, თუ ვინ არის ტაქსის მძღოლი და გავლილი აქვს თუ არა მას ნარკოლოგიური შემოწმება. მიღებული იქნება ერთიანი სტანდარტი, რომელიც არ იქნება დაკავშირებული ხარჯებთან, გაწელილი იქნება დროში ისე, რომ ტაქსის მძღოლებს ექნებათ მომზადების დრო და მატერიალური თვალსაზრისით, არავის დააწვება ზედმეტ ტვირთად. დავით უთმელიძის თქმით, როდესაც საუბარი გვაქვს პროგრესზე და ცივილიზაციაზე, ეს მიმართულება, ისევე, როგორც ბევრ ქვეყანაშია, უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც ინსტიტუტი.

რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ მე-5 მოწვევის საკრებულოში ამ მიმართულებით ჩატარებული იყო საკმაოდ სერიოზული კვლევა, რომელშიც ჩართული იყო ბევრი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი. აღნიშნა, რომ საქმის კეთებას აქვს ორი მიმართულება - „ან გააკეთო, ან არ გააკეთო" და განაცხადა, რომ საქმის არ გაკეთების შემთხვევაში, ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლება არ მუშაობს, ხოლო გაკეთების შემთხვევაში, არ მოსწონთ სიახლეები. მისი თქმით, ტრანსპორტის სფეროს მოწესრიგება, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და ამ კუთხით, წარმოდგენილია მთელი რიგი საკითხების მოგვარება, რომელთა შორისაც არის ტაქსების რეგულაციაც. რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ მიუღებელია იმაზე საუბარი, თითქოს

ვინმეს არ აწუხებდეს ტაქსის მძღოლების და მათი ოჯახების ბედი, დღევანდელ ხელისუფლებას აწუხებს როგორც მათი, ასევე იმ მოქალაქეების ბედი, რომლებიც გადაადგილდებიან ტაქსით და გაიხსენა შემთხვევა, როდესაც თავად იმგზავრა ტაქსით, რომლის მძღოლი იყო საკმაოდ მოუწესრიგებელი, არ იცოდა ქუჩა, რომელზეც უნდა მიეყვანა მგზავრი და შესაძლებელია ყოფილიყო ნასვამიც. საუბრის ბოლოს აღნიშნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები შეასრულებენ წინასაარჩევნო დაპირებებს, რადგან მათ ენდო საზოგადოება, აირჩია და ისინი ვალდებული არიან საზოგადოების წინაშე.

თამარ ტალიაშვილმა გამოეხმაურა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მიმდინარე პროცესებს და აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში დაგეგმილია განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომა, რომელზეც მოწვეული იქნებიან გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლები და ექსპერტები. კომისიის სხდომაზე დასწრება შეეძლება ნებისმიერ მსურველს და ყველა დასმულ შეკითხვას, იქნება ის მართებული თუ ანგაჟირებული, გაეცემა პასუხი. იმ გუნდის მხრიდან, რომლის წევრებმაც ხელისუფლებაში ყოფნისას დახურეს ორმოცდაათამდე ბაგა-ბაღი და თანამდებობიდან გაათავისუფლეს ასამდე დირექტორი, საკითხის ისე წარმოჩენას, თითქოს ბაღებში მიმდინარეობს საგანგაშო პროცესები, „სასაცილო და არასერიოზული“ უწოდა. რაც შეეხება შენობების ავარიულობის გამო დახურულ სამ ბაღს, განაცხადა, რომ შენობების მედეგობის შემოწმება და კონტროლი გაგრძელდება მომავალშიც, რადგან ბავშვები უნდა იყვნენ უსაფრთხო გარემოში.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ საქმე გვაქვს ოპოზიციასთან, რომელიც თავისი ქმედებებით და განცხადებებით ცდილობს „რამენაირად საზოგადოებას თავი შეახსენოს“. მისი თქმით, წინასაარჩევნო პოლიტიკის ნაწილია დედაქალაქის განტვირთვა გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობისგან, რისთვისაც ხელისუფლება არ მოერიდება რეფორმების გატარებას. რაც შეეხება საბავშვო ბაღებს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ბაგა-ბაღები იხურებოდა, ეხლა - შენდება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება ყველა ავარიულ შენობას. ხოლო ბაღებში კვების მიმართულებით დაფინანსება გაზრდილია, რაც მეტყველებს იმაზე, რომ რაციონი არ შეცვლილა ეკონომიიის კუთხით, მენიუ შედგა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და შესაძლებელია შედარებით ნაკლებმარილიანი ან ნაკლებშაქრიანი საკვები არ იყოს მიმზიდველი, ბავშვები იკვებებიან ჯანსაღად.

გიორგი ბირბიჩაძე გამოეხმაურა დათო ჟღენტის მიერ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ პრობლემას და განმარტა, რომ თბილისის 2018 წლის ბიუჯეტში ამ მიმართულებით დაფინანსება გაზრდილია ნახევარი მილიონი ლარით, თუმცა ბავშვების მომლოდინე რეჟიმში ყოფნა გამოწვეულია არა იმით, რომ დაფინანსება არ არის საკმარისი, არამედ იმით, რომ ამ ეტაპზე მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები ვერ ახერხებენ ბავშვების დამატებას. გიორგი ბირბიჩაძემ აღნიშნა, რომ მზად არის, ნებისმიერ მსურველთან ერთად, ითანამშრომლოს სერვისის მიმწოდებელ კერძო კლინიკებთან, რომ მათ შეძლონ რაც შეიძლება მეტი ბავშვის მომსახურება და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება, ხოლო თუ საჭირო გახდება თანხის დამატება, ამ მიმართულებითაც შესაძლებელია მუშაობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე სოფიო ხუნწარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: მამუკა მუმლაძე

3. „ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული 461 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „მზიანისთვის“ (ს/კ.: 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

4. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე 3028 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.38.055), ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე 3835 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.38.057), ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მდებარე 3526 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.36.032) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხისა და დაინტერესებულ პირებთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010), შენობა-ნაგებობა N1-ში, პირველ სართულზე 540.31 კვ.მ. ფართის შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დეკნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის“ (ს/კ.: 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის N26-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე სოფიო ხუნწარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განახლებულ შემადგენლობაში, სოფიო ხუნწარია ერთ-ერთი წარმატებული ადამიანია და იმედი გამოთქვა, რომ იგივე წარმატებით გააგრძელებს მოღვაწეობას მერის მოადგილის თანამდებობაზე.

მარინა დათუკიშვილმა აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თბილისის მთავრობის დამტკიცებაში პოლიტიკურ პასუხისმგებლობას არ იღებს, რის გამოც სოფიო ხუნწარიას დამტკიცებას მერის მოადგილის თანამდებობაზე ვერ დაუჭერს მხარს და ისურვა, რომ საქართველოში საუბარი იყოს არა მხოლოდ ევროპულ ტაქსებზე, არამედ ევროპულ მიდგომებზე გენდერული თანასწოროობის ფარგლებში. განაცხადა, რომ გაუხარდება წარმატებული ქალები არა მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებაში, არამედ ყველა სფეროში და სოფიო ხუნწარიას წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ სოფიო ხუნწარიამ კულტურის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნისთანავე გადადგა ფუნდამენტური ნაბიჯები არაერთი მიმართულებით, რომლებმაც დიდი როლი შეასრულა კულტურის სფეროში. თამარ ტალიაშვილის თქმით, სასიხარულო და მისასალმებელია, რომ თბილისს, მნიშვნელოვანი მიმართულებების კურატორად, ეყოლება ასეთი გამოცდილების მქონე მენეჯერი და წარმატებები უსურვა სოფიო ხუნწარიას.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ საკრებულოს წევრების მხრიდან სოფიო ხუნწარიას მისამართით გაკეთებული კომპლიმენტების მოსმენა სასიამოვნოა, თუმცა ორმაგად სასიამოვნოა იგივეს მოსმენა უცხოური დელეგაციის მხრიდან, რომელიც მასთან შეხვედრის შემდეგ, აღფრთოვანებულია მისი კომპეტენტურობით და ხედვით. ირაკლი ზარქუამ წარმატებები უსურვა სოფიო ხუნწარიას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

2. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, წესის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს ემატება ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით ავტობუსების და მიკროავტობუსების გაჩერება უნდა მოხდეს მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებზე, რაც თავისთავად, ხელს შეუწყობს დედაქალაქის ქუჩებში ავტობუსების მოძრაობის ეტაპობრივად დარეგულირებას და მგზავრთა უსაფრთხოებას.

ლევან ხაბეიშვილმა, საკრებულოს წევრების მხრიდან ტაქსის მძღოლებთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებზე, რომ ზოგი მათგანი შესაძლებელია ავტომობილს მართავდეს ნასვამი, ხოლო ზოგს არ ჰქონდეს მართვის მოწმობა, გააკეთა კომენტარი, რომ ამის

შესამოწმებლად არსებობს საპატრულო პოლიცია, რომლის გამოძახებაც, ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, შეუძლია ნებისმიერ მგზავრს.

გიორგი ტყემალაძემ საუბარი შეაწყვეტინა ლევან ხაბეიშვილს და განუმარტა, რომ საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით, მას შეუძლია დასვას კითხვა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო მის მიერ ტაქსის მძღოლებთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარს, არავითარი კავშირი არ აქვს ამ საკითხთან და მოუწოდა, რომ კითხვისთვის განკუთვნილი დრო გამოიყენოს კითხვის დასასმელად. ამის შემდეგ, ლევან ხაბეიშვილმა და მარინა დათუკიშვილმა დატოვეს სხდომა.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებით, ჩნდება შესაძლებლობა დაიწყოს მიკროავტობუსების მოძრაობის მოწესრიგება და ყველასთვის მტკივნეული საკითხის მოგვარება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული 461 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „მზიანისთვის“ (ს/კ.: 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ აღნიშნული დაწესებულება ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რის გამოც პროექტს შეიძლება ეწოდოს სოციალური და აქედან გამომდინარეა, წარმოდგენილი უძრავი ქონების გადაცემა უსასყიდლოდ.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში დაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122[1] მუხლის მე-8 პუნქტი, რომლის თანახმადაც, თბილისის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოთ, პირობით ან უპირობოდ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 17 ოჯახისთვის 26 ერთეული ფართის

საკუთრებაში გადაცემა, რაც ჯამში შეადგენს 745 კვ.მ.-ს. აღსანიშნავია, რომ ამ პირების ნაწილი, დაახლოებით 75 წელია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე მდებარე ფართებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე 3028 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.38.055), ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე 3835 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.38.057), ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მდებარე 3526 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.36.032) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხისა და დაინტერესებულ პირებთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საჯარო რეესტრის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს სრული უფლება აქვთ დაირეგისტრირონ მიწის ნაკვეთები, თუმცა აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე უკვე არსებობს რეგისტრაცია და აქედან გამომდინარე, მესაკუთრესთან ხორციელდება მონაცვლეობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010), შენობა-ნაგებობა N1-ში, პირველ სართულზე 540.31 კვ.მ. ფართის შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის“ (ს/კ.: 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ აღნიშნულ ფართში, 1996 წლიდან, ფუნქციონირებს კლინიკა, სადაც, ძირითადად დასაქმებული არიან დევნილები და მომსახურების გაწევაც ხორციელდება ძირითადად დევნილებზე. ამ ეტაპზე წარმოდგენილია ცენტრისთვის ქონების გადაცემა ერთი წლის ვადით.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას ამ შემთხვევაშიც მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში დაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122[1] მუხლის მე-8 პუნქტი, რომლის თანახმადაც, თბილისის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოთ, პირობით ან უპირობოდ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის N26-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ ცვლილება ეხება საბჭოს თავმჯდომარეს, კერძოდ, თავმჯდომარეობის შესაძლებლობა ექნება როგორც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ასევე, მისი დავალების შემთხვევაში - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 2 დადგენილება და 5 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი